სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080164554035819

№ 2087 01 / მაისი / 2019 წ.

შპს „მარნეულის სოფწყალისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 25 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „მარნეულის სოფწყალის“ SMP190002015 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ბორბლებიანი ექსკავატორის სიჩქარის გადამცემი კოლოფის (CPV - 43600000 - სამთო მრეწველობის, კარიერული დამუშავებისა და სამშენებლო მანქანების ნაწილები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2019 წლის 18 აპრილს მწყობრიდან გამოვიდა ბორბლებიანი ექსკავატორის სიჩქარის გადამცემი კოლოფი. შპს „მარნეულის სოფწყალის“ მიერ შესწავლილი იქნა ვითარება. აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია მისი შეკეთება და საჭიროებს ახლის შეძენას. საგულისხმოა, რომ საზოგადოებას ემსახურება მხოლოდ ერთი ბორბლებიანი ექსკავატორი, რომლის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა წარმოადგენს აუცილებლობას მილსადენზე ავარიების აღდგენის დროს გათხრითი სამუშაოების ჩასატარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს ბორბლებიანი ექსკავატორის სიჩქარის გადამცემი კოლოფის შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, 2019 წლის 18 აპრილს მწყობრიდან გამოვიდა ბორბლებიანი ექსკავატორის სიჩქარის გადამცემი კოლოფი. შპს „მარნეულის სოფწყალის“ მიერ შესწავლილი იქნა ვითარება. აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია მისი შეკეთება და

საჭიროებს ახლის შეძენას. საგულისხმოა, რომ საზოგადოებას ემსახურება მხოლოდ ერთი ბორბლებიანი ექსკავატორი, რომლის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა წარმოადგენს აუცილებლობას მილსადენზე ავარიების აღდგენის დროს გათხრითი სამუშაოების ჩასატარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბორბლებიანი ექსკავატორის სიჩქარის გადამცემი კოლოფის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს შპს „მარნეულის სოფწყალის“ SMP190002015 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე